



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი



ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. X-XI სს. მიჯნა

ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (X-XI სს. მიჯნა), ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს გუდაუთის მუნიციპ-ის, სოფ. ლიხნში (აფხ. არ). ტაძარი წაგრძელებული ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, რ-საც აღმ-ით სამი შვერილი აფსიდი აქვს. ტაძარს დას-იდან, ჩრდ-იდან და სამხრ-იდან მაღალი, კამაროვანი კარიბჭე ეკვრის. ეკლესია, რ-ის ფასადები მოყვითალო კირქვის თლილი ფილებითაა მოპირკეთებული, მოკლებულია მორთულობას, რითაც უფრო თვალსაჩინო ხდება პროპორციების დახვეწილობა და ჰარმონიულობა. გუმბათის რვანახნაგა

ყელი, პანდანტივებს ეყრდნობა, ყოველ ნახნაგში თითო სარკმელია. სამ-სამი სარკმელია საკურთხეველსა და მკლავებში. შიდა სივრცე გართულებულია: ნართექსის თავზე, დას-ით, მონწყობილია პატრონიკე, რ-იც სამ კამაროვან მონაკვეთად იყოფა და თაღებით უკავშირდება მთავარ სივრცეს. ტაძრისა და კარიბჭეების კედლები შიგნიდან მთლიანად ყოფილა მოხატული (შემორჩენილია ფრაგმენტები). მოხატულობა შეიცავს ორ ფენას – ადრინდელს (XI ს.), ფრაგმენტულად გადარჩენილს და გვიანდელს (XIV ს.), აგრეთვე ქართ. და ბერძნ. წარწერებს. მოხატულობა გამოირჩევა ფაქიზი კოლორით, რამდენამდე წაგრძელებული ფიგურების დინამიკურობით, ექსპრესიულობით და ატარებს პალეოლოგოსთა სტილის ნიშნებს (მკვეთრად გამოხატული ელინისტური ელემენტები). შემორჩენილია უფრო ადრინდელი, X-XI სს. მოხატულობის კვალიც.

ტაძრის მახლობლად არის ფეოდალური სასახლის – აფხაზეთის მთავრების (შერვაშიძეები) 2-სართულიანი რეზიდენცია. სასახლე შუა საუკუნეებისაა. XIX ს-ში გააფართოვეს და

გადააკეთეს. დაიწვა 1866 გლეხთა აჯანყების დროს. მას შემდეგ აღარ აღუდგენიათ.

ლიტ.: ს ი ლ ო გ ა ვ ა ვ., სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბ., 2006;
Р ч е у л и ш в и л и Л. Д., Купольная архитектура VIII-IX веков в Абхазии, Тб.,
1988; B r o s s e t M.-F., Rapport sur un voyage archeologique dans la Georgie et
dans L. Armenie, Livr 1, S.-Pb., 1849.

ვ. სილოგავა
